სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრის (ჩამოწერის) მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის
საინვენტარიზაციო კომისიის აქტი №2

წყალტუბო სოფელი ზედა მესხეთი ბროწეულას საჯარო სკოლა 5 თებერვალი 2015წ.

მიმდინარე წლის 28 იანვარს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის 2015 წლის 22 იანვრის №2-12 ბრძანებით შექმნილი სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომა.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერმა კომისიამ შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე: დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლი; თამარ ხვადაგიანი
2. კომისიის წევრი ბუღალტერი: ნათელა სირაძე
3. კომისიის წევრი: სამეურვეო საბჭოს წევრი: ეკატერინე კალატოზი
4. კომისიის წევრი: პედაგოგიური საბჭოს წევრი: მერი გულიაშვილი
5. კომისიის წევრი: წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი: ალექსანდრე ფხაკაძე

წინამდებარე აქტი შედგა მასზედ, რომ სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მეხეთის ბროწეულას საჯარო სკოლაში შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ მოახდინა სკოლის ეზოში არსებული შენობა №04 ფიზიკური დათვალიერება და შეფასება.

სკოლის ტერიტორიაზე არსებული გამოუყენებელი და ბავშვთა სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელი აბანო-სამრეცხაოს შენობა, რომელიც ექსპლუატაციაში არის შესული 1959 წელს. შენობის საწყისი საბალანსო ღირებულება არის 3667,00 ლარი, ნარჩენი კი --1651,00 ლარი.

აბანო -სამრეცხაოს ერთი სართული ნაშენებია, როგორც კირქვით, ასევე აგურითა და სამშენებლო ბლოკით (გვიშტიბის), რომელიც არის ადვილად შლადი და ფხვიერი მასალისაგან შექმნილი. შენობას აქვს ღია მანსარდი და გადახურულია შიფერით. შენობის სახურავი დამტვრეული და დაზიანებულია სიძველისა და სტიქიური მოვლენებისაგან. მთლიანად დამპალი და განადგურებული აქვს ხის მასალა. აქედან გამომდინარე კომისია ადგენს შემდეგს:

აუცილებლობას წარმოადგენს შენობის დაშლა და დემონტაჟი. გარეგანი ფიზიკური დათავალიერების შედეგად ჩანს, რომ შენობაზე არის საამშენელო მასალები კერძოდ: ორი რკინის კარები დაახლოებით 4კვ. ასევე სავარაუდოთ საამშენებლო ბლოკი --1000 ცალი, აგური -- 14000 ცალი, სინკარი -14 ცალი;2 კირქვა --215 ცალი,შიფერი- 90 ცალი, ხის საყრდენები ერთი კუბური მეტრი.

დემონტაჟისაგან მიღებული მეორადი საამშენებლო მასალა და სახურავი მეორადი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარია. მეორადი ხის მასალა შესაძლებელია გამოყენებული იქნას საშეშე მასალად.

აქტი სწორია და ვაწერთ ხელს:

კომისიის თავმჯდომარე: /თამარ ხვადაგიანი/

კომისიის წევრი: /ნათელა სირაძე /

/ეკატერინე კალატოზი/

/ მერი გულიაშვილი/

/ალექსანდრე ფხაკაძე/

აქტის სინამდვილეს ვადასტურებ
დირექტორი: / შ. კუბლაშვილი /